

გაზის ტარიფის გაძვირება პურის ქარხნებს არ შეეხება



მიმდინარე წლის პირველი მარტიდან „სოკარ ჯორჯია გაზის“ საცაღო კომერციული მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ფასი 1 კუბურ მეტრზე 95 თეთრი ხდება. თუმცა, კომპანიაში აცხადებენ, რომ გაზის ტარიფის გაძვირება პურის

ქარხნებს არ შეეხება.

როგორც „სოკარ ჯორჯიას“ დირექტორის პირველი მოადგილე ანტონ სამსონაძემ განაცხადა, ტარიფის გაზრდის მიზეზად დარის გაუფასურებასა და განაწილების ტარიფის ცვლილებას ასახელებს.

„სოკარ ჯორჯია გაზის“ გადაწყვეტილება განპირობებულია ეროვნული ვალუტის გაცვრითი კურსის დოლარის მიმართებაში. ამავდროულს, სემეკ-ის მიერ დადგენილი განაწილების ტარიფის ცვლილებით, ხაზი მინდა გავუსვა, რომ მოსახლეობას, რომელიც სოციალური ტარიფით ღებულობს გაზს, ეს არ შეეხება. სხვა გაზგამანაწილებელ კომპანიებს შორის „სოკარ ჯორჯია გაზი“ უკანასკნელია, ვინც ამ კორექტირებას ახდენს. ყველა სხვა კომპანიებმა უკვე დააკორექტირეს თავისი კომერციული ტარიფები. ტარიფი პურის საცხობებისთვის უცვლელი რჩება და ეს „სოკარის“ კეთილი ნებაა, რათა მოსახლეობამ ვერ იგრძნოს კომერციული ტარიფის ცვლილება, პურის ფასის ცვლილების გავლით“, – განაცხადა ანტონ სამსონაძემ.